



შპს „პისი მაქსი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია

სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სპეციალური დანიშნულების წინასწარი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	17
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	17
6. საშუალო დატვირთული კაპიტალის ანგარიშგება - დაშვების ბიზნეს ერთეული	18
7. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.....	19
8. შემოსავალი საიჯარო ხელშეკრულებებიდან.....	21
9. ზარალი საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების მოდიფიკაციიდან	21
10. სხვა საოპერაციო ხარჯები	21
11. ფინანსური ხარჯი, წმინდა	22
12. საკურსო მოგება, წმინდა	22
13. საინვესტიციო ქონება	22
14. გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები.....	22
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	23
16. სასაქონლო მატერიალური მარაგები	24
17. საგადასახადო აქტივი.....	24
18. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
19. კაპიტალი	24
20. საიჯარო ვალდებულება.....	24
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
22. პირობითი ვალდებულებები.....	25
23. ფინანსური რისკების მართვა	25
24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	28
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პისი მაქსის“ ხელმძღვანელობასა და მეწილეებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პისი მაქსი“-ს (შემდგომში კომპანია) სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სპეციალური დანიშნულების წინასწარ მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია #2 შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლების შესაბამისად, რომელიც აღწერს თუ როგორ იქნა გამოყენებული მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ დაშვებებს სტანდარტების იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ძალაში იქნება, როდესაც კომპანია მოამზადებს ფასს-ის სრულად შესაბამის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. ასევე ჩვენ არ შეგვიმოწმებია დაუმთავრებელი მშენებლობის ფიზიკური მდგომარეობა აღნიშნული თარიღებისთვის. სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება, რომ განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან და საინვესტიციო ქონებაში წარდგენილ დაუმთავრებელ მშენებლობასთან მიმართებაში. სასაქონლო მატერიალური მარაგები 2019 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 932 და 1,170 ათას ლარს, ხოლო დაუმთავრებელი მშენებლობა 250 და 1,313 ათას ლარს.

როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-7 შენიშვნაში, კომპანია საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ფინანსური იჯარით გაცემისას აღიარებს შესაბამის ამონაგებს და თვითღირებულებას. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია კვლავ აგრძელებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მშენებლობას, ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე ვერ შეძლო არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად მონაკვეთების მიხედვით გადაეთვალა ერთი წვერი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზის თვითღირებულება. მენეჯმენტი გვმავს გადათვლა გააკეთოს ფასს-ის სრულად შესაბამისი პირველი ანგარიშგების მომზადებისას. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ შედეგებზე რომელიც უკავშირდება IRU ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებულ გასვლებს (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩამოწერილი წვერების თვითღირებულებამ შეადგინა 924 ლარი 2019 წელს 159 ლარი).

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი პირობითი მოსაზრებისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი გარემოება - სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და შეზღუდვა გამოყენებაზე

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ფინანსური ანგარიშგების მეორე შენიშვნაზე რომელიც განმარტავს თუ რატომ არის შესაძლებელი, რომ შეიცვალოს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში წარდგენილი მონაცემები მაშინ როდესაც კომპანია მოამზადებს ფასს-ის სრულად შესაბამის ანგარიშგებას და გამოიყენებს ამ მონაცემებს როგორც შესადარის ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგება და ჩვენი მოსაზრება განკუთვნილია კომპანიის ხელმძღვანელობის ინფორმირებისა და გამოყენებისთვის რომ დაეხმაროს კომპანიას ფასს-ზე გადასვლის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება და ჩვენი მოსაზრება ასევე განკუთვნილია კომუნიკაციების კომისიისთვის (შემდგომში მარეგულირებელი) და შეიცავს მათ მიერ მოთხოვნილ სპეციფიკურ ახსნა-განმარტებებს. შესაბამისად ეს ანგარიშგება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნით ან გადაეცეს სხვა მხარეს თუ ეს მოთხოვნილი არ არის კანონმდებლობით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია - მარეგულირებლის სპეციფიკური მოთხოვნები

როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების პირველ შენიშვნაშია განმარტებული შპს „პისი მაქსი“ საქმიანობას ახორციელებს კომუნიკაციების კომისიის მიერ რეგულირებულ გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე და წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირს. როგორც ეს კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 (ცვლილებების შეტანის თარიღი: 2019 წლის 18 აპრილი) გადაწყვეტილებით არის განსაზღვრული გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურება მოიცავს მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტს და „Backhaul” გადაცემის ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტს. ძირითადი/მაგისტრალური (“Trunk”) ქსელის სეგმენტი წარმოადგენს ქსელის ძირითად კვანძებს შორის აგრეგირებულ კავშირს.

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიმოხილვის საფუძველზე დადგინდა, რომ შპს „პისი მაქსი“ ახორციელებს მხოლოდ შემდეგ საქმიანობას: Dark Fiber ტექნოლოგიით აწვდის საბითუმო მომხმარებლებს გამოყოფილი არხებით მაგისტრალური ქსელის ძირითად კვანძებს შორის კავშირის უზრუნველსაყოფად მომსახურებას. პისი მაქსის მიერ გაწეული მომსახურების სახეობები არის შემდეგი:

- Dark Fiber IRU მომსახურება - გაუნათებელი ოპტიკური ღერების ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით გადაცემა;
- საოპერაციო იჯარა - გაუნათებელი ოპტიკური ღერების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებით;
- ტექნიკური მომსახურება - დაკავშირებული სარგებლობაში გადაცემული გაუნათებელი ოპტიკური ღერების შეუფერხებელ ფუნქციონირებასთან;

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შპს „პისი მაქსი“-ს საქმიანობა მოიცავს მხოლოდ მაგისტრალურ/ძირითად (“Trunk”) ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურებას და დაკავშირებულ მომსახურებებს (ტექნიკური უზრუნველყოფა).
- კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული “ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” მიზნებისთვის - კომპანიის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ბიზნეს ერთეულით.
- ფინანსურ ანგარიშგების მეექვსე შენიშვნაში წარდგენილი საშუალო დატვირთული კაპიტალის ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მეორე შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამყლავებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უფულვებელყოფას.
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების“ სახელით (რეგ #SARAS-A-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 ნოემბერი 2020

თბილისი, საქართველო.



სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019
ამონაგები IRU ხელშეკრულებების ფარგლებში	7	1,924
აღიარებული გაყიდვიდან		
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	8	488
ამონაგები ტექნიკური მომსახურებიდან	7	869
სხვა		47
სულ შემოსავალი		3,328
IRU ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ამონაგების	7	(159)
თვითღირებულება		
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,908)
ხელფასები და სხვა სარგებელი		(1,325)
ზარალი საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების	9	(1,017)
მოდიფიკაციიდან		
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი		(177)
ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების ტექნიკური მომსახურება		(289)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(338)
საოპერაციო ზარალი		(1,885)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	11	(77)
საკურსო მოგება, ნეტო	12	203
ზარალი დაბეგვრამდე		(1,759)
მოგების გადასახადი		-
წმინდა ზარალი		(1,759)

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია დამტკიცებულია და ხელმოწერილია
მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს:

ლევან ხუნდაძე
დირექტორი



შპს „პისი მაქსი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019
ამონაგები IRU ხელშეკრულებების ფარგლებში	7	1,924
აღიარებული გაყიდვიდან		
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	8	488
ამონაგები ტექნიკური მომსახურებიდან	7	869
სხვა		47
სულ შემოსავალი		3,328
IRU ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ამონაგების თვითღირებულება	7	(159)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,908)
ხელფასები და სხვა სარგებელი		(1,325)
ზარალი საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების მოდიფიკაციიდან	9	(1,017)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი		(177)
ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების ტექნიკური მომსახურება		(289)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(338)
საოპერაციო ზარალი		(1,885)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	11	(77)
საკურსო მოგება, ნეტო	12	203
ზარალი დაბეგვრამდე		(1,759)
მოგების გადასახადი		-
წმინდა ზარალი		(1,759)

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს:

ლევან ხუნდაძე
დირექტორი

შპს „პისი მაქსი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		284	163
საინვესტიციო ქონება	13	21,331	17,285
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები	14	3,161	1,837
არამატერიალური აქტივები		31	31
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი მოთხოვნები	15	4,253	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,060	19,316
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	16	1,170	932
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	853	18,755
საგადასახადო აქტივი	17	538	818
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	435	923
სულ მიმდინარე აქტივები		2,996	21,428
სულ აქტივები		32,056	40,744
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	-	-
გაუნაწილებელი მოგება	19	18,665	20,424
სულ კაპიტალი		18,665	20,424
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება			
	20	3,562	4,412
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,562	4,412
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	20	823	373
მოკლევადიანი სესხები		-	2,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	9,006	13,535
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,829	15,908
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32,056	40,744

შპს „პისი მაქსი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2019	-	20,424	20,424
წლის სრული ზარალი	-	(1,759)	(1,759)
31 დეკემბერი 2019	-	18,665	18,665

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2019
საოპერაციო საქმიანობა	
წლის სრული ზარალი	(1,759)
არაფულადი კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	1,908
ფინანსური ხარჯი	415
ზარალი საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების მოდიფიცირებიდან	1,017
უიმედო და საეჭვო ვალების ხარჯი	177
საკურსო ზარალი/(მოგება)	(203)
	1,555
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:	
სასაქონლო მატერიალური მარაგების ზრდა	(238)
დებიტორულ დავალიანების და სხვა მიმდინარე მოთხოვნების შემცირება	10,923
საგადასახადო აქტივის შემცირება	280
კრედიტორული დავალიანების და სხვა მიმდინარე ვალდებულებების ზრდა	(4,529)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	7,991
გადახდილი პროცენტი	(82)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7,909
საინვესტიციო აქტივობები	
ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის ინფრასტრუქტურის	(5,176)
მშენებლობისთვის გადახდილი ფული	
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(152)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(5,328)
ფინანსური აქტივობები	
ფინანსური იჯარის ძირი თანხის გადახდები	(1,069)
სესხის დაფარვა	(2,000)
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში	(3,069)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	(488)
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	923
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	435

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „პისი მაქსი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2009 წლის 27 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 206343875.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით მაღალი ხარისხის ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მართვა. შპს „პისი მაქსი“-ს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და კომუნიკაციების კომისიის შესაბამისი დადგენილებებით ვინაიდან საქმიანობას ახორციელებს კომუნიკაციების კომისიის მიერ რეგულირებულ გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე და წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირს. როგორც ეს კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 (ცვლილებების შეტანის თარიღი: 2019 წლის 18 აპრილი) გადაწყვეტილებით არის განსაზღვრული გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურება მოიცავს მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტს და „Backhaul” გადაცემის ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ შექმნილი მაგისტრალური/ძირითადი ქსელი მოიცავს 2,205 კილომეტრს. კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების გადაცემა მესამე მხარისთვის ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ მომსახურება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, III მასივი, VIII

კვ., კორპ. 10, ბ. 11. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გურამიშვილის გზ. N23ა

კომპანიის მეწილეები: კომპანიის დამფუძნებელი დაარსებიდან დღემდე არ შეცვლილა. მისი 100%-იანი წილის მფლობელია ნიკოლოზ დიდებულისძე (პ/ნ 01027025591)

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განაცხადი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანიის ფასს-თან ადაპტაციის პროცესის შემადგენელი ნაწილი და შესაბამისობაშია ფასს 1 “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენება” მოთხოვნებთან. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2019 წლის 1 იანვარი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს გადასვლის დღემდე არსებულ შესადარის ინფორმაციას და ეს ანგარიშგება წარმოადგენს შესადარის ინფორმაციას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსამზადებელი კომპანიის პირველი სრული ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების კომპლექტისთვის. შესაბამისად, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ წარმოადგენს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს.

ფასს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ის საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივად ხდება ფასს-ის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) და ინტერპრეტაციების კომიტეტის მიერ (IFRIC) და შესაძლოა, კვლავაც გადაიხედოს და შეიცვალოს. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიცვლება ასეთი ცვლილების დადგომისას საჭიროების შემთხვევაში მანამ, სანამ მოხდება კომპანიის ფასს-ის სრულად შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება.

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს რიგ მნიშვნელოვან სააღრიცხვო დაშვებებს. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან ლოგიკურ მსჯელობებს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის მსჯელობას, ან რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ თანხებზე მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფასს-ის პირველადი გამოყენება. ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას არ მოუზადებია ისინი წინა პერიოდებში. ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო პრაქტიკიდან ფასს-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში მოცემული არ არის. ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია იყენებდა ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

ფასს 1 მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და ნებაყოფლობით გამოწვევას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებულია სავალდებულო გამოწვევისებები.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 1 იანვარს და 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
კურსი 2019 წლის 1 იანვარი	2.6766	3.0701

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულებით აღრიცხულ საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. კომპანიის საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა. აღნიშნული ქონება მენეჯმენტის შეფასებით გამოიზნულია მესამე მხარეებზე ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(IRU) გადაცემისთვის და არ იგეგმება მისი გამოყენება სხვა მომსახურების გასაწევად გარდა საიჯარო მომსახურებისა. მენეჯმენტი გეგმავს კიდევ ერთხელ შეაფასოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მიზნობრიობა და გამოყენებული სადრიცხოვო პოლიტიკა ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადებისას 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. გამომდინარე იქიდან რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა ასევე არ არის ჩამოყალიბებული კომპანიის გრძელვადიანი პოლიტიკა ამ აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით, მენეჯმენტი მისი რეალური ღირებულებით აღრიცხვაზე ან რეალური ღირებულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის საჭიროებაზე იმსჯელებს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადებისას.

საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა	15-25

ძირითადი საშუალებები.

- აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
- ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
საოფისე ინვენტარი	5-7
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-7

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება

მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

• **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანიამ უნდა აღიაროს ფინანსური აქტივი ან ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური

აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალი უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას. სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- **FVOCI.** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

- **წილობრივი ინსტრუმენტები.** წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამოზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

• **გაუფასურება.** კომპანია იყენებს ფას 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხვდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

• **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: 1) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და 2) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამოებს; ან

- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. მოთხოვნა კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები

რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირი ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს და სახელმწიფოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% თითოეულს.

შედეგად, ხელფასის და მასთან გათანაბრებული სარგებლის 6% დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მხრიდან ირიცხება დასაქმებულის დაგროვებით ანგარიშზე, რომელსაც მართავს საპენსიო სააგენტო. კომპანიის მიერ ანაზღაურებული საპენსიო შენატანები აღიარებულია შესაბამის სახელფასო ხარჯთან ერთად დარიცხვის პრინციპით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შეუზღუდავი გამოყენების უფლება. შეუზღუდავი გამოყენების უფლების (IRU) შეთანხმებები ძირითადად დაკავშირებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ინფრასტრუქტურის შეძენას და/ან რეალიზაციისთან. ასეთი შეთანხმებები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეიძლება აღირიცხოს როგორც იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად, მომსახურების კონტრაქტი ან ნაწილობრივ როგორც იჯარა და ნაწილობრივ როგორც მომსახურება. კლასიფიკაცია დამოკიდებულია მხარეებს შორის შეთანხმებულ პირობებზე. კონტრაქტი აღირიცხება იჯარად თუ კმაყოფილება შემდეგი პირობები:

- მყიდველს აქვს ექსკლუზიური უფლება ქსელის კონკრეტულ მოცულობაზე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და აქვს შესაძლებლობა გადაყიდოს (ან იჯარით გასცეს) იგი;
- სიმძლავრე არის ფიზიკურად შეზღუდული და განსაზღვრული;
- მყიდველი პასუხისმგებელია ყველა დანახარჯზე რაც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ქსელის სიმძლავრესთან, საოპერაციო, ადმინისტრაციული და შენარჩუნების ხარჯების ჩათვლით; და
- ხელშეკრულების ვადის განმავლობაში მყიდველი ფლობს მოძველების რისკს.

თუ ყველა აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, შეუზღუდავი გამოყენების უფლების შეთანხმება არ ითვლება მომსახურების კონტრაქტად. კომპანია მყიდველისგან წინასწარ მიღებულ ნებისმიერ თანხას აღიარებს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება. გარდა ამისა, კომპანია აფასებს მოცემული გარიგებების ფასს დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის გათვალისწინებით, ფასს 15-ის შესაბამისად და აღიარებს შესაბამის საპროცენტო ხარჯს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ უღიარებია დაფინანსების კომპონენტი დადებულ გარიგებებზე.

თუ იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მნიშვნელოვან ნაწილს, ამ შემთხვევაში კონტრაქტი განიხილება, როგორც რეალიზაცია და აღირიცხება ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად, სხვა შემთხვევაში ტრანზაქცია განიხილება, როგორც საოპერაციო იჯარა და აღირიცხება ფასს 16-ის მოთხოვნების შესაბამისად.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

- **შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა**

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა “კონტროლი” შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე.

- **სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა**

კომპანიის მიერ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ძირითად ნაწილში ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება ფიქსირებული ფასების შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოქმედი ხელშეკრულებებისთვის, არ მომხდარა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება რადგან როგორც წესი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რამოდენიმე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

- **მომხმარებელთან დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები.** როდესაც კონტრაქტის მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას, კომპანია ვალდებულია აღირიცხოს კონტრაქტი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო აქტივი ან

ვალდებულება, რაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოსა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის დამოკიდებულებაზე. კომპანია ვალდებულია წარადგინოს ნებისმიერი უპირობო უფლებები ცალკე, როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

- **საკონტრაქტო აქტივები.** როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.
- **საკონტრაქტო ვალდებულებები.** მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღიარდება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).
- **აქტივის დაბრუნების უფლება.** ეს არის კომპანიის უფლება აღადგინოს მომხმარებლისგან დაბრუნებული მარაგის ღირებულება. ის აღიარდება დასაბრუნებელი აქტივის თვითღირებულებით, შემცირებული დაბრუნების გამო აქტივის ღირებულების შემცირებით ან მარაგის მობრუნებასთან დაკავშირებული ხარჯებით.
- **აქტივის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.** ეს არის კომპანიის ვალდებულება რომ დაუბრუნოს მომხმარებელს მიღებული ან მისაღები ანაზღაურება სრულად ან ნაწილობრივ და აღიარდება იმ თანხით, რისი დაბრუნების მოლოდინიც აქვს კომპანიას ანგარიშგების თარიღისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანახლებს შეფასებებს რაც გამოიყენება ამ ვალდებულებების აღსარიცხავად.
- **კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები.** კომპანია მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მისი ამორტიზირება თორმეტ თვეზე დიდი პერიოდის განმავლობაში. კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენს ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა კონტრაქტის გაფორმება. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღიარდება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების გაწევა სრულად ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდება თუ არა კონტრაქტი.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან უდავოდ პრეზუმირებული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების დასაფარად საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს

ფასს 16 იჯარა

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 16 იჯარა. ამ ახალი სტანდარტის მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2019 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს 16 ჩაანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ეს სტანდარტი განსაზღვრავს იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპებს და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-სგან. მეიჯარეები განაგრძობენ იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ბასს 17-ის მსგავსი პრინციპების გამოყენებით. შესაბამისად, ფასს 16 არ აქვს გავლენა იმ იჯარებზე, რომელშიც კომპანია მეიჯარეა.

კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის პირველადი გამოყენების მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდი, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიამ მიიღო გარდამავალი პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების გადაწყვეტილება, რათა განმეორებით არ შეეფასებინა ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას 2019 წლის 1 იანვარს. ამის ნაცვლად კომპანიამ სტანდარტი გამოიყენა მხოლოდ იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც თავდაპირველი გამოყენების თარიღში იჯარებად განისაზღვრა ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანიამ ასევე გადაწყვიტა გამოეყენებინა აღიარებასთან დაკავშირებული გამოწვევების საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომლებსაც დაწყების თარიღში აქვთ 12 ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას (მოკლევადიანი იჯარა), ასევე საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალფასიანია (დაბალი ღირებულების მქონე აქტივები).

ფასს (IFRS) 16-ის მიღების ეფექტი არის შემდეგი:

გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე (ზრდა/(შემცირება)):

	2019 წლის 1 იანვარი
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	1,837
გაუნაწილებელი მოგება	(2,948)
საიჯარო ვალდებულებები	4,785

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

გავლენა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ზრდა/(შემცირება):

	2019
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების ცვეთა (შენიშვნა 14)	(747)
მიღებული ფინანსური იჯარების ხელშეკრულებების მოდიფიცირების ეფექტი (შენიშვნა 9)	(560)
საოპერაციო ზარალი	(1,307)
საკუროს სხვაობები დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების გადაფასებასთან (შენიშვნა 12)	(382)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი; (შენიშვნა 11)	(334)
წლის მთლიანი სრული ზარალი	(2,023)

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და აღრიცხავს საიჯარო კომპონენტებისგან დამოუკიდებლად.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე

კომპანია იყენებს რეზერვების მატრიცას რომ იანგარიშოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე. ანარიცხის განაკვეთები ეფუძნება მსგავსი გაუფასურების ინდიკატორების მქონე მოთხოვნების ერთობლიობას დაჯგუფებულს ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ისტორიულ განაკვეთებს, ეკონომიკის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და ECL-ს შორის უერთიერთკავშირის შეფასება მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას წარმოადგენს. კომპანიის ისტორიული საკრედიტო დანაკარგებით და ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირებით შეფასებული ანარიცხები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური ზარალისგან. კომპანიას არ ჰქონია წარსული გამოცდილება მოთხოვნების ხარჯად აღიარებასთან დაკავშირებით, სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ნაშთს.

- **ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.**

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საიჯარო ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა**

გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ეყრდნობა შეუქცევადი იჯარის ვადას დაკორექტირებულს ნებისმიერ სხვა პერიოდთან ერთად რომელზეც ვრცელდება იჯარის გახანგრძლივების ფუნქცია თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ამგვარი ფუნქციით კომპანია ისარგებლებს ან ნებისმიერი ისეთი პერიოდის გათვალისწინებით რომელზეც ვრცელდება იჯარის შეწყვეტის ფუნქცია თუ მისი გამოყენების გონივრული რწმენა არ არსებობს. საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად კომპანიას არ შეუძლია განსაზღვროს იჯარაში შემავალი ზღვრული საპროცენტო განაკვეთი და იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს. რაც წარმოადგენს ისეთ საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მოუწევდა მსგავსი ღირებულების აქტივის მისაღებად საჭირო თანხის მოსაზიდვად.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.**

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით საგადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალ სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეს მომავალში გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის).

ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება.

ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი სადაზღვევოს ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო

ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, კომპანია ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ფასს 10 და ბასს 18 (დამატება) აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - ფასს 10- ში და ბასს 28- ში შეტანილი ცვლილებები ეხება სიტუაციებს, როდესაც ადგილი აქვს ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვას ან კონტრიბუციას. კერძოდ, ცვლილებებში ნათქვამია, რომ შვილობილი საწარმოს კონტროლის დაკარგვის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან გარიგებაში და რომელიც აღირიცხება წილობრივი მეთოდის გამოყენებით, აღიარებულია მშობლის მოგებასა ან ზარალში მხოლოდ არადაკავშირებული ინვესტორის წილით მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ანალოგიურად, მოგება და ზარალი, რომელიც

გამოწვეულია ნებისმიერი ყოფილ შვილობილ საწარმოში შენარჩუნებული წილის ხელახალი შეფასებით (რომელიც გახდა მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო რომელიც აღირიცხება წილობრივი მეთოდის გამოყენებით), რეალური ღირებულებით, აღიარებულია ყოფილი მშობლის მოგებასა ან ზარალი მხოლოდ არადაკავშირებული ინვესტორის წილით მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ განსაზღვრული არ არის IASB-ის მიერ; ამასთან, დასაშვებია ცვლილებების ადრეული გამოყენება. კომპანიის შეფასებით ამ ცვლილებას გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომდევნო პერიოდებში.

ცვლილებები ბასს 1-ში და ბასს 8 არსებითის განმარტება - ცვლილებები მიზნად ისახავს არსებითობის განმარტება ბასს 1-ში, უფრო ადვილად გასაგები გახდეს და მისი მიზანი არ არის შეცვალოს არსებითობის საფუძვლები ფასს-ში. ახალი განსაზღვრების ნაწილს წარმოადგენს არსებითი ინფორმაციის „დაფარვა“ არა არსებითი ინფორმაციით. მომხმარებლებზე გავლენის მოსახდენი ზღვარის არსებითობა შეიცვალა "შეიძლება გავლენა იქონიოს"-დან "გონიერულად მოსალოდნელია რომ გავლენას იქონიებს". ბასს 8-ში მოცემული არსებითობის განმარტება შეიცვალა მითითებით ბასს 1-ში მოცემული არსებითობის განმარტებასთან მითითებით. გარდა ამისა, IASB-იმ დააკორექტირა სხვა სტანდარტები და კონცეპტუალური საფუძვლები, რომელიც შეიცავს არსებითობის განმარტებას ან მოიხსენიებს ტერმინს „არსებითი“, რათა უზრუნველყოს თანამიმდევრულობა. ცვლილებები ძალაში შედის პერსპექტიულად, ყოველწლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ადრეული გამოყენება დასაშვებია.

კომპანიას არ შეუფასებია ამ ცვლილებას გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. საშუალო დატვირთული კაპიტალის ანგარიშგება - დაშვების ბიზნეს ერთეული

შპს პისიმაქსი წარმოადგეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს, რომელსაც კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად დაეკისრა რეგულირებული სეგმენტის შესახებ დატვირთული კაპიტალის უწყისის წარდგენა. აღნიშნული უწყისის ფორმა დადგენილია კომისიის მიერ. აღნიშნულ უწყისში წარდგენილი თანხები შესაბამისია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ თანხებთან და შესაძლებელია მათი ურთიერთდაკავშირება.

	შენიშვნა	მიმდინარე წელი	წინა წელი	% ცვლილება
		000' ლარი	000' ლარი	წლიური
ა. ძირითადი საშუალებები		29,060	19,316	50%
I. არამატერიალური ძირითადი საშუალებები		31	31	0%
II. მატერიალური ძირითადი საშუალებები*	13, 14	24,776	19,285	28%
III. ფინანსური ინვესტიციები	15	4,253	-	-
ბ. მიმდინარე აქტივები		2,443	20,597	(88%)
I. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16	1,170	932	26%
II. დებიტორული დავალიანება	15	853	18,754	(95%)
III. ფასიანი ქაღალდები		-	-	-
IV. ლიკვიდური აქტივები	18	435	923	(53%)

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

გ. გადახდილი ავანსები	17	538	818	(34%)
დ. სულ აქტივები (ა + ბ + გ)		32,056	40,743	
ე. ანარიცხები		-	-	-
ვ. მოკლევადიანი ვალდებულებები**	20,21	9,829	15,907	(38%)
ზ. დარიცხული ვალდებულებები	20	3,562	4,412	(19%)
თ. დატვირთული კაპიტალი (დ - ე - ვ - ზ)		18,665	20,424	

* აღნიშნული თანხა მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ ძირითად საშუალებებს, საინვესტიციო ქონებას და გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებს.

** აღნიშნული თანხა მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ მოკლევადიან საიჯარო ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

7. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2019
ამონაგები IRU ხელშეკრულებების ფარგლებში	1,924
ალიარებული გაყიდვიდან	
ამონაგები ტექნიკური მომსახურებიდან	869
	2,793

• კომპანიის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს IRU ტიპის ხელშეკრულებების მიხედვით საკუთარ მფლობელობაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით გადაცემა. IRU ხელშეკრულებებს, რომელთა ვადაც მოიცავს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის უმეტეს ნაწილს, კომპანია აღრიცხავს, როგორც ფინანსურ იჯარას ფასს 16-ის მიხედვით. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის ფინანსური იჯარით გაცემისას კომპანია აღიარებს ამონაგებს ფასს 15-ის შესაბამისად გარიგების ფასის მიხედვით დროის გარკვეულ მომენტში. ასეთი ტიპის ხელშეკრულებები ითვალისწინებს სრული საკონტრაქტო თანხის ავანსად გადახდას, კომპანიას არ უღიარებია ასეთი ტიპის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკონტრაქტო აქტივები და/ან ვალდებულებები.

• შეუზღუდავი სარგებლობის უფლებით გადაცემულ აქტივებზე კომპანიას ასევე გაფორმებული აქვს ტექნიკური მომსახურების ხელშეკრულებები რომელიც ითვალისწინებს პროფილაქტიკურ/ტექნიკურ მხარდაჭერას ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. შემოსავალი აღიარებულია წრფივად გამოყენებული რესურსის მეთოდის საფუძველზე.

კომპანიას ჰყავს რამდენიმე მსხვილი კონტრაქტები, რომლებთანაც გაფორმებული აქვს IRU ხელშეკრულებები:

1. შპს ვიონი საქართველოსთან სხვადასხვა პერიოდში გაფორმებული აქვს რამდენიმე IRU ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს საკუთარ მფლობელობაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მაგისტრალური გზის სხვადასხვა მონაკვეთს. შპს ვიონი საქართველოსთან ყველა ხელშეკრულება გაფორმებულია საავანსო გადახდის პრინციპით და ხელშეკრულებების ვადა განისაზღვრება 15-20 წლით. წლების მიხედვით სახელშეკრულებო პირობები მოცემულია ქვემოთ:

	მეტრაჟი	წვერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ვალუტა	სახელშეკრულებო თანხა, დღგ-ს გარეშე
2014	264,204	2-4 წვერი	USD	2,572,004
2015	328,290	4 წვერი	USD	3,345,408
2016	137,754	2-4 წვერი	USD	1,403,773
2017	793,853	2-4 წვერი	GEL	6,885,870
2019	212,285	2 წვერი	GEL	1,923,814

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

რადგანაც ხელშეკრულება ეფუძნებოდა წინასწარ გადახდის პრინციპს, ხელშეკრულების თანხა მთლიანად აღიარდა შემოსავლად მიღება-ჩაბარებების გაფორმების მომენტში და ფინანსური იჯარიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის ეფექტი კომპანიას დარჩენილ წლებში არ ჰქონია.

2. შპს გრინეტთან 2015 წელს აქვს IRU ხელშეკრულება, რომლებზეც მიღება-ჩაბარებები გაფორმდა 2016-2017 წლებში და რომელიც მოიცავს საკუთარ მფლობელობაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მაგისტრალური გზის გარკვეულ მონაკვეთს. შპს გრინეტთან არსებული ხელშეკრულება გაფორმებულია საავანსო გადახდის პრინციპით და ხელშეკრულებების ვადა განისაზღვრება 20 წლით. წლების მიხედვით სახელშეკრულებო პირობები მოცემულია ქვემოთ:

	მეტრაჟი	წვერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ვალუტა	სახელშეკრულებო თანხა, დღგ-ს გარეშე
2016	268,382	2-4 წვერი	USD	1,137,210
2017	202,521	2-4 წვერი	USD	858,138

რადგანაც ხელშეკრულება ეფუძნებოდა წინასწარ გადახდის პრინციპს, ხელშეკრულების თანხა მთლიანად აღიარდა შემოსავლად მიღება-ჩაბარებების გაფორმების მომენტში და ფინანსური იჯარიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის ეფექტი კომპანიას დარჩენილ წლებში არ ჰქონია.

3. შპს კავკასუს ონლაინთან 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულება მოდიფიცირდა 2019 წლის იანვარში. გადაცემული აქტივების ოდენობა იგივე დარჩა, რაც შეადგენდა 226,259 მეტრი სიგრძის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მაგისტრალურ ხაზს (4 წვერი). 2016 წელს დადებული ხელშეკრულებით აღიარდა შემოსავლებში პირველად ხელშეკრულებაში არსებული თანხა 1,525,117 ლარის ოდენობით. ხოლო 2019 წელს ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად, შეიცვალა გადახდის პრინციპი და შეადგინა თვეში 4,067 დოლარი, დღგ-ს გარეშე. კომპანიამ დათვალა მომდევნო 15 წლის განმავლობაში მისაღები თანხების მიმდინარე ღირებულება და 2016 წლის ნარჩენ მოთხოვნასა და მოდიფიცირების შედეგად დისკონტირებულ მოთხოვნას შორის სხვაობა კომპანიამ მოგება/ზარალში ასახა.
4. შპს რკინიგზის ტელეკომთან 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულება მოდიფიცირდა 2019 წლის იანვარში. გადაცემული აქტივების ოდენობა იგივე დარჩა, რაც შეადგენდა 689,922 მეტრი სიგრძის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მაგისტრალურ ხაზს (4 წვერი). 2016 წელს დადებული ხელშეკრულებით აღიარდა შემოსავლებში პირველად ხელშეკრულებაში არსებული თანხა 6,256,388 ლარის ოდენობით. ხოლო 2019 წელს ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად, შეიცვალა გადახდის პრინციპი და შეადგინა თვეში 9,745 დოლარი, დღგ-ს გარეშე. კომპანიამ დათვალა მომდევნო 15 წლის განმავლობაში მისაღები თანხების მიმდინარე ღირებულება და 2016 წლის ნარჩენ მოთხოვნასა და მოდიფიცირების შედეგად დისკონტირებულ მოთხოვნას შორის სხვაობა კომპანიამ მოგება/ზარალში ასახა.

ინფორმაცია სახელშეკრულებო მოთხოვნა/ვალდებულებებზე:

	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 15)	290

სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი, ჩვეულებრივ მათი შეგროვების პერიოდი არის 30 დღემდე.

შემოსავალი, რომელიც აღიარდება მომავალში ტექნიკური მომსახურების კონტრაქტების მიხედვით, როდესაც დაკმაყოფილდება დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020	2021-2025	2026-2030	2031-2035
შპს ვიონი საქართველო	395	1,976	1,884	382
შპს რკინიგზის ტელეკომი	128	640	640	512
შპს კავკასუს ონლაინი	153	766	766	613
სულ	676	3,382	3,290	1,507

კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს კიდევ ერთხელ შეაფასოს IRU ხელშეკრულებების აღრიცხვასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა ფასს-ის მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები როდესაც მოამზადებს ფასს-ის სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. შემოსავალი საიჯარო ხელშეკრულებებიდან

IRU ხელშეკრულებებს, რომელთა ვადა მნიშვნელოვნად ნაკლებია გაცემული აქტივის სასიცოცხლო პერიოდზე, კომპანია აღრიცხავს საოპერაციო იჯარად ფასს 16-ის მიხედვით.

9. ზარალი საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების მოდიფიკაციიდან

	2019
მიღებული ფინანსური იჯარების ხელშეკრულებების მოდიფიცირების ეფექტი	2,118
გაცემული ფინანსური იჯარების ხელშეკრულებების მოდიფიცირების ეფექტი	(2,678)
ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად მოთხოვნის დისკონტირების ეფექტი	(457)
წმინდა ცვლილება რეალურ ღირებულაში	(1,017)

კომპანიამ 2019 წლის 31 იანვარს მოახდინა ძველი ხელშეკრულებების მოდიფიცირება თავის ორ კონტრაქტთან. რაც მოიცავდა როგორც მიღებული, ასევე გაცემული IRU ხელშეკრულებების მოდიფიცირებას, მოდიფიცირება გამოწვეული იყო ხელშეკრულებებში გადახდის პირობების ცვლილებითა და რიგ შემთხვევაში გაცემული და მიღებული აქტივების რაოდენობის ზრდით.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გააფორმა შეთანხმება არსებული მოთხოვნის განსხვავებული პერიოდით დაფარვაზე ჯამური თანხის ცვლილების გარეშე. მოდიფიცირებული პირობით მოთხოვნის რეალურ ღირებულებაში შესული ცვლილება აღიარდა მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

10. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019
საიჯარო ხარჯი	(112)
საკონსულტაციო ხარჯი	(30)
საწვავის ხარჯი	(27)
რეგულირების ხარჯი	(25)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(21)
სამშენებლო და დამხმარე მასალები	(20)
სამივლინებო ხარჯი	(16)
საბანკო ხარჯი	(16)
საავტომობილო ხარჯი	(15)
საურავის ხარჯი	(15)
კომუნიკაციის ხარჯი	(7)
სხვა ხარჯი	(34)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(338)

11. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2019
გაცემულ ფინანსურ იჯარებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	338
მიღებულ ფინანსურ იჯარებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(334)
საფინანსო სექტორისგან აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(82)
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	(77)

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. საკუროს მოგება, წმინდა

	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	585
საიჯარო ვალდებულებები	(382)
საკუროს მოგება, წმინდა	203

13. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ საინვესტიციო ქონება
1 იანვარი 2019	19,183	250	19,433
შემოსვლა	1,518	3,817	5,335
დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადატანა	2,754	(2,754)	-
გასვლა/ჩამოწერა	(186)	-	(186)
31 დეკემბერი 2019	23,269	1,313	24,582
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2019	(2,148)	-	(2,148)
ცვეთის ხარჯი	(1,130)	-	(1,130)
გასვლა	27	-	27
31 დეკემბერი 2019	(3,251)	-	(3,251)
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2019	17,035	250	17,285
31 დეკემბერი 2019	20,018	1,313	21,331

14. გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები

კომპანიის გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები წარმოდგენილია შენობა-ნაგებობების კატეგორიაში. გადმოცემულ აქტივებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები განსაზღვრულია ა.შ.შ. დოლარში. მოძრაობა წლის განმავლობაში:

ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,837
შემოსვლა	2,071
ცვეთის ხარჯი	(747)
ნეტო ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,161

მოგება ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

	2019
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების ცვეთის ხარჯი	(747)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(382)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	(334)
	(1,463)

გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებს კომპანია იყენებს ძირითადი საქმიანობის განხორციელებისთვის, კერძოდ კი გადმოცემული ნაგებობები გამოყენებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების საჰაერო განთავსებისთვის.

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები	3,502	21,348
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	290	146
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	64	91
სხვა მოთხოვნები	6	3
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,862	21,588
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(3,009)	(2,833)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	853	18,755

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	მიმდინარე	91-180	181-270	271-360	361-ზე მეტი	სულ
გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნის მთლიანი ღირებულება	193.5	5.5	-	-	1.5	200
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(7.3)	(1.1)	-	-	(1.5)	(10)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	3.78%	20.44%	0.00%	-	100%	4.96%

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	მიმდინარე	91-180	181-270	271-360	361-ზე მეტი	სულ
გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნის მთლიანი ღირებულება	3,727	15	-	27	-	3,769
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(22)	(1)	-	(7)	-	(30)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.59%	6.67%	-	25.93%	-	0.8%

	2019
ინდივიდუალურად გაუფასურებული	(196)
ჯგუფურად გაუფასურებული	20
სულ ხარჯი	(176)

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში:

1 იანვარი 2019	(2,833)
წლის დარიცხვა	(176)
რეზერვის გამოყენება	-
31 დეკემბერი 2019	(3,009)

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები	1,071	872
სამშენებლო და დამხმარე მასალები	78	38
სხვა მარაგები	21	22
სულ მარაგები	1,170	932

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე მარაგების ჩამოფასებამ შეადგინა 306 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების გარეშე.

17. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	433	863
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3	60
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	435	923

19. კაპიტალი

კომპანიის დაარსებიდან ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში 100%-იანი წილის მფლობელია ნიკოლოზ დიდებულოძე.

კომპანიას 2019 წლის განმავლობაში არ გამოუცხადებია და შესაბამისად არ გაუცია დივიდენდები.

20. საიჯარო ვალდებულება

კომპანიას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განსათავსებლად ინფრასტრუქტურის ქირაობაზე. საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე.

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	4,785
შემოსვლა	2,071
გასვლა	(2,118)
საპროცენტო ხარჯი	334
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვა	(1,069)
საკურსო სხვაობა	382
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,385
მიმდინარე	823
გრძელვადიანი	3,562

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საიჯარო ვალდებულებები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
საიჯარო გადახდები	823	2,799	763	4,385
საპროცენტო ხარჯი	303	501	310	1,113
სულ საიჯარო ვალდებულებები	1,126	3,300	1,073	5,498

ინფორმაცია მოგება-ზარალში აღიარებულ თანხებზე მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
მიღებული ავანსები	5,293	5,123
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3,026	8,332
გადასახდელი ხელფასები	96	5
საიჯარო ვალდებულებები	591	75
	9,006	13,535

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

23. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული IRU ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული კონტრაგენტების ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლებთანაც IRU ხელშეკრულება არ მოიცავს ერთიან საავანსო გადახდის პირობას. კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სატელეკომუნიკაციო სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში ძირითადად სთავაზობს შემდგომი გადახდის პირობით მომსახურებას. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მონეტარული აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	914	2,949	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი მოთხოვნები	-	4,253	-
სულ	914	7,201	-

მონეტარული ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,006	-	-
საიჯარო ვალდებულებები	-	4,385	-
სულ	9,006	4,385	-

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მონეტარული აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,217	5,538	-
სულ	13,217	5,538	-

მონეტარული ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,534	-	-
საიჯარო ვალდებულებები	-	1,791	-

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

სულ	13,534	1,791	-
-----	--------	-------	---

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	ლარი/დოლარი (ზრდა 20%)	ლარი/დოლარი (კლება 20%)
2019	(2,253)	2,253
2018	(2,977)	2,977

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას არ გააჩნია ცვლად საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებული ფინანსური ინსტრუმენტები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება საოპერაციო ერთეულების დონეზე, აგრეგირებული მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. ასეთი პროგნოზი ითვალისწინებს ასევე რეფინანსირების გეგმებს. ფინანსური განყოფილება მონიტორინგს უწევს ლიკვიდობის მართვას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული დაფარვის ვადების მიხედვით:

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაფარვის ვადიანობა როგორც წესი არ აჭარბებს სამ თვემდე პერიოდს.

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ რეალურ ღირებულებას.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად.

კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

2019

უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები

460

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19- ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი და უარყოფითი შედეგები წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე პანდემიის პერიოდში კომპანიას არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და არ შეუმცირებია საქმიანობის მასშტაბები. მენეჯმენტი მიიჩნევს რომ პანდემიას შესაძლოა ქონდეს გავლენა გრძელვადიან პერსპექტივაში რაც დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად დროულად დასრულდება კრიზისი და უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას პანდემიის ეფექტების შესამსუბუქებლად.